

ცვლილებები ძალაშია 25.01.2019-დან.

25.01.2019-მდე გაფორმებული „დამატებითი სახელშეკრულებო პირობებისთვის“ ცვლილებები ძალაშია 25.02.2019-დან.

ინტერნეტ-გვერდზე [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge) განთავსებულ დამატებით სახელშეკრულებო პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალოს დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 2. თანხმობა ინფორმაციის დამუშავებაზე**

1. ამ მუხლში მოცემული ტერმინების განმარტება:

ა) **ინფორმაციის დამუშავება** - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩანერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩანერა, ვიდეოჩანერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;

ბ) **ინფორმაცია** - კლიენტი იურიდიული პირის და/ან ფიზიკური პირის შესახებ საბანკო, კომერციული, პერსონალური მონაცემების, ბიომეტრიული მონაცემების შემცველი ნებისმიერი ინფორმაცია;

გ) **პირდაპირი მარკეტინგი** - ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება;

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით:

2.1. კლიენტი აცხადებს თანხმობას და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, დაამუშავოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ბანკის დამფუძნებელთათვის და მათი მაკონტროლებელი სუბიექტებისათვის, ხელმისაწვდომი გახადოს სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, აგრეთვე სხვადასხვა მომსახურების გამწვევი მესამე პირებისათვის, მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის:

- კლიენტისთვის ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების განევა;
- კლიენტის განცხადების გარეშე, ბანკის მიერ, ცალმხრივად, კლიენტისთვის საბანკო/საკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით;
- კლიენტის მიმდინარე საკრედიტო პროდუქტების მონიტორინგის მიზნით და კლიენტის გადამხდელუნარიანობის გადამოწმების მიზნით;
- კლიენტთან დაკავშირებული პირებისთვის საკრედიტო მომსახურების განევის მიზნით და მათი მიმდინარე საკრედიტო პროდუქტების მონიტორინგის მიზნით. ამ პუნქტის მიზნებისთვის კლიენტთან დაკავშირებული პირები არიან: ნებისმიერი მესამე პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კლიენტის აქციებს/წილს ნებისმიერი ოდენობით (დამფუძნებლები, პარტნიორები და სხვა), ნებისმიერი მესამე პირი, რომელშიც კლიენტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს აქციებს/წილს ნებისმიერი ოდენობით, კლიენტის ოჯახის წევრები, აგრეთვე ნებისმიერი პირი, რომელიც ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს კლიენტის სოლიდარულ მოვალეს და/ან თავდებს, აგრეთვე ის პირი, რომელთა სოლიდარული მოვალე და/ან თავდები არის კლიენტი;
- ბანკის მიზნებისათვის სხვადასხვა ტიპის კვლევის/მომსახურების განხორციელება;
- ბანკის დამფუძნებელთან ანგარიშგება;
- საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარება;
- პირდაპირი მარკეტინგი;

- სხვადასხვა (ვიზა, მასტერქარდი და სხვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ) წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობა;
  - კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
- 2.2. კლიენტის მიერ წინამდებარე თანხმობა გაცემულია ზემოაღნიშნული მიზნებით ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო ვადით. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტთან გაფორმებულია გენერალური ხელშეკრულება (საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის მიზნით), გენერალური ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
- 2.3. ინფორმაცია შესაძლებელია დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ამასთან, პირები, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციას, უზრუნველყოფენ ინფორმაციის, საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაცულ გარემოში შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ინფორმაცია ბანკში ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის დამუშავების მიზნის მისაღწევად კანონმდებლობითა და ბანკის წესებით დადგენილი შენახვის ვადების გათვალისწინებით.
- ინფორმაციის დამუშავებაზე კლიენტის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას კლიენტის მომსახურებაზე და/ან შეწყვიტოს მასთან გაფორმებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის ხელშეკრულება.
- 2.4. კლიენტი უფლებამოსილია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა.
- კლიენტი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია მისი უფლებების შესახებ, მოითხოვოს ინფორმაციის შემდგომი დამუშავების შეწყვეტა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ან მასთან დაკავშირებული პირი არ სარგებლობს ბანკში მიმდინარე საკრედიტო/საბანკო პროდუქტებით, ასევე მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.
3. (ამოღებულია);
4. კლიენტი თანხმობას აცხადებს, რომ სს „პროკრედიტ ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე მუხლში მითითებული მიზნებითა და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს და დაამუშაოს, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.
5. სს „პროკრედიტ ბანკი“ შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ები)სათვის ინფორმაციის მინორდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).
- მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან განადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ“.